

საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადება

საინფორმაციო პროგრამა “მოამბის” დღის გამოშვების წამყვანმა ნინო თოლორდავამ, პროტესტის მოტივით, სამსახური დატოვა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ ფაქტის შესახებ განმარტებას აკეთებს და აცხადებს, რომ თოლორდავა წლების განმავლობაში საკუთარი სურვილით მუშაობდა საინფორმაციო სამსახურში და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მისი მხრიდან არასდროს დაფიქსირებულა არანაირი პროტესტი, ასეთი ვერც იქნებოდა, რადგან ბოლო რამდენიმე წლის საერთაშორისო მონიტორების დასკვნებით, ეუთო, ევროკავშირი, ბიბისი საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკას და მუშაობას ყველაზე მიუკერძოებლად და დაბალანსებულად თვლის.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვიტოვებთ უფლებას, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გვქონდეს ჩვენი პოზიცია და შევაფასოთ ის, როგორც გარკვეული პოლიტიკური პროვოკაცია, რომელიც ჟურნალისტმა პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენა.